
URL: <http://urakparaki.com/?m=4&ID=60259>

ავტორი: ბექა ქებულაძე

ჟანრი: პოემია

გამოქვეყნების დრო: 2012-05-21 09:42:31

ხელი ჩამკიდე

ქარებს ყანებიდან მოაქვთ მზის ნახატი,
ძალაწართმეული ჟინი გამეგებად.
სახელს, შენ რომ გქვია გულში ვინახავდი,
გულში რომელშიდაც სხვა ვერ დაეტევა.

შენკენ გამომავალს ვძერწდი ახლო ბილიკს,
თუმცა დამიშორდა გზა და შენც ასევე..
ახლა ხელები მაქვს ცისკენ აპყრობილი
და ჩემს არსებობას ასე შეგახსენებ.

შენი ერთგულება ცასაც მაპყრობინებს
და ჩემს აღგაცებას ტანზე იბნევ ეშხით;
ვეღარ ვეგუები ფიქრის საპყრობილეს,
ვეღარ შეგიგუე მდგარი სიბნელეში.

ვხედავ დედამიწა ახალ კვირგებს იცხობს
და ძლივს გამეგებულ ჩემს წილ იღბალს მთხოვნის.
ხელი ჩამკიდე და მზის გულს მივეფიცხოთ,
იქნებ განმიახლდეს განცდა სიახლოვის.